სესხის გაცემა ხდება გენერალური ხელშეკრულების მაქსიმუმ 1 000 000 ლარიანი ლიმიტის ფარგლებში, რომელიც მოქმედია მაქსიმუმ 15 წლის ვადით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ზემოაღნიშნული ლიმიტის ფარგლებში მსესხებელზე დამატებით კრედიტის გაცემის შემთხვევაში, კრედიტის გაცემაზე თქვენი დამატებითი თანხმობა არ იქნება საჭირო და თქვენი თავდებობა/ქონების უზრუნველყოფის მოცულობა გავრცელდება გენერალური ხელშეკრულების უზრუნველყოფის ფარგლებში გაცემულ ყველა კრედიტზე.

გენერალური ხელშეკრულება სესხისა და სატრანსპორტო საშუალების
გირავნობის შესახებ N

ქ.თბილისი

2025 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. მოგირავნე/ გამსესხებელი	სახელწოდება:	სს მიკრობანკი „ემბისი“ (შემდგომში მიკრობანკი)
	იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი, N68, სართული N1, საოფისე ფართი N2
	წარმომადგენელი:	
	ტელეფონი:	032 2-50-50-02
	ელ.ფოსტა:	info@mbc.com.ge
	საიდენტიფიკაციო კოდი:	404967078
	საზედამხედველო ორგანოს დასახელება და მისამართი:	საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა №2
	მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის ნომერი:	472
1.2. მსესხებელი	სახელი, გვარი/დასახელება:	
	დაბადების/რეგისტრაციის თარიღი:	
	ფაქტიური მისამართი:	
	რეგისტრაციის/იურიდიული მისამართი:	
	პასპ/პირად. მოწმობის N:	
	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი:	
	ტელეფონი:	
	ელ. ფოსტა:	
	წარმომადგენელი:	
1.3. დამგირავებელი/ მესაკუთრე	სახელი,გვარი/დასახელება:	
	დაბადების/რეგისტრაციის თარიღი:	
	ფაქტიური მისამართი:	

რეგისტრაციის/იურიდიული
მისამართი:
პასპ/პირად. მოწმობის N:
პირადი /საიდენტიფიკაციო ნომერი:
ტელეფონი:
ელ. ფოსტა:
წარმომადგენელი:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ქვემოთ მითითებული სესხის მაქსიმალური ოდენობის (სესხის მაქსიმალური ლიმიტის) ფარგლებში, გამსესხებელი გასცემს სესხს ხოლო მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დაფაროს იგი წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში სესხების გაცემის მიზნით, გამსესხებელი მსესხებელს გადასცემს საკრედიტო საგადახდო ბარათს. სესხის თანხის გაცემა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მსესხებლისათვის გადაცემულ საკრედიტო საგადახდო ბარათზე თანხის ჩარიცხვის გზით.

2.2. სესხის მოცულობა და არსებითი პირობები

2.2.1. სესხის მაქსიმალური ოდენობა:	
2.2.2. სესხის მოქმედების მაქსიმალური ვადა:	
2.2.3. მაქსიმალური წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	
2.2.4. მოთხოვნის მაქსიმალური ოდენობა:	
2.2.5. გირავნობის საგნის შეფასება:	
2.2.6. პირგასამტეხლო (ჯარიმა) ვადაგადაცილებაზე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე	**განისაზღვრება საკრედიტო ხელშეკრულებით**

2.3. მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამსესხებელმა და მსესხებელმა გააფორმონ (დადონ) კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებები იმ საბაზისო პირობებით, რომლებიც დადგენილია წინამდებარე ხელშეკრულებით. საკრედიტო ხელშეკრულებებით განისაზღვრება სესხის კონკრეტული ოდენობა, დაბრუნების ვადა, სარგებელი, საკომისიოები და სესხის დაფარვის პირობები. ხსენებული საკრედიტო ხელშეკრულება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მხარეები ასევე თანხმდებიან სესხის და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვის პირობებზე, რომლის მიხედვით მიკრობანკისთვის გადაცემული ან მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხით პირველ რიგში დაიფარება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს, კრედიტის ძირითადი თანხა. მიკრობანკი იტოვებს უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებათა შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა).

სესხის წინასწარ სრულად ან ნაწილობრივ დაფარვისას მსესხებელს შესაძლებელია დაერიცხოს წინსწრების საკომისიო, საკომისიოს ოდენობა განისაზღვრება საკრედიტო ხელშეკრულებით.

2.4. სესხის დაფარვის მიზნით მსესხებლის მიერ გადასახდელი თანხების გადახდა შესაძლებელია როგორც მიკრობანკის სერვის ცენტრის სალაროში, ასევე სწრაფი გადახდის აპარატებში თანხის შეტანის გზით. სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით თანხის გადახდისას კლიენტმა (გადამხდელმა პირმა) უნდა მიუთითოს კლიენტის უნიკალური ნომერი N. კლიენტი ვალდებულია აცნობოს მიკრობანკს საბანკო არხებით ან სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით სესხის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით განხორციელებული გადახდის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სესხის წინსწრებით, სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით განხორციელებული გადახდის შესახებ კლიენტის შეტყობინება (მიკრობანკის ინფორმირება) იძლევა კლიენტის იდენტიფიკაციის საშუალებას, მიკრობანკი იღებს ვალდებულებას განახორციელოს სესხის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა ასეთი შეტყობინების მიღების

დღეს. არაიდენტიფიცირებადი შეტყობინების მიღების შემთხვევაში, მიკრობანკი იტოვებს უფლებას არ განახორციელოს სესხის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა.

2.5. მსესხებელი ვალდებულია კრედიტის თანხა და მასზე დარიცხული სარგებელი დაფაროს არაუგვიანეს გადახდის გრაფიკში მითითებული ვადის ბოლო დღეს. გადახდის ვადების დარღვევის (გადაცილების) შემთხვევაში მიკრობანკი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. თუ გადახდის დღე ემთხვევა უქმე (არასამუშაო) დღეს, გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რა შემთხვევაშიც მიკრობანკი არ დარიცხავს დამატებით საკომისიოსა და პირგასამტეხლოს.

2.6. ხელშეკრულების შეწყვეტის (როგორც ვადამდე, ისე ხელშეკრულების ვადის გასვლით) შემთხვევაში, მიკრობანკის მხრიდან პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება მსესხებლის მიერ ვალდებულების სრულ შესრულებამდე და მსესხებელი ვალდებული იქნება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნებაყოფლობით ან/და იძულებითი აღსრულების წესით სრულად დაფარვის დროს, მიკრობანკის წინაშე ასევე დაფაროს ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ დარიცხული პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

2.6. წინამდებარე ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებები (გაცემული სესხი) გარდა გირავნობისა შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნას ასევე სამომავლოდ დასადები ან/და დადებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა და მხარეთა სხვა უფლება-მოვალეობები.

2.7. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან და მსესხებელი (ასევე უზრუნველყოფის მესაკუთრე) წინასწარ აცხადებს თანხმობას, რომ მიკრობანკს უფლება აქვს მის წინაშე მსესხებლის ნებისმიერი ფულადი ვალდებულების დასაფარად, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ოვერდრაფტის სახით გამოყოს სესხის თანხა აღნიშნული ვალდებულების ოდენობით და მიმართოს იგი იმავე ვალდებულების სრულად დასაფარად. მხარეთა შეთანხმებით ოვერდრაფტი წარმოადგენს მსესხებელზე გასაცემ სესხის თანხას (ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში), რომელიც გაცემის მომენტში აღარ საჭიროებს მსეხებლის მიერ მის უშუალოდ მიღებას, დამატებით თანხმობას ან/და დასტურს და ითვლება მსესხებელზე გაცემულად ოვერდრაფტის თანხით მსესხებლის სხვა ნებისმიერი ვალდებულების გადაფარვისთანავე. მხარეები თანხმდებიან, რომ ოვერდრაფტის თანხას მისი გაცემის დღიდან დაერიცხება პროცენტი (სარგებელი) იმ ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით, რომელი ხელშეკრულებიდანაც გამომდინარეობს გადასაფარი ვალდებულება. მიკრობანკი ვალდებულია შეატყობინოს მსესხებელს ოვერდრაფტის სახით სესხის გაცემის (დარიცხვის) შესახებ და მიუთითოს შეტყობინებაში, რომელი ვალდებულების დასაფარად იქნა დაშვებული ოვერდრაფტი, ასევე ოვერდრაფტის თანხა და მისი დაფარვის ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს 30 დღეზე ნაკლები. აღნიშნულ ვადაში ოვერდრაფტის თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლის გადაუხდელობის შემთხვევაში მსესხებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ოვერდრაფტის ძირ თანხაზე იმ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობით, რომელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დაფარვაც განხორციელდა გაცემული ოვერდრაფტით.

მუხლი 3. გირავნობის საგანი

3.1. ამ ხელშეკრულებით და ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად დამგირავებელი მოგირავნის სასარგებლოდ ტვირთავს მის საკუთრებაში არსებულ მოძრავ ნივთს.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული გირავნობის საგანია ამ მუხლში აღწერილი სატრანსპორტო საშუალება. გირავნობა ვრცელდება გირავნობის საგნიდან მიღებულ ნაყოფზეც ასეთი ნაყოფის არსებობისას.

3.3. სატრანსპორტო საშუალების მახასიათებლებია:

3.3.1. მარკა, მოდელი, გამოშვების წელი:	
3.3.2. სახელმწიფო სარეგისტრაციო N:	
3.3.3. ტიპი და ფერი:	
3.3.4. კუთვნილება:	
3.3.5. ტრანსპ. სარეგისტრ. მოწმობის სერია, N:	
3.3.6. მოწმობის გაცემის თარიღი:	
3.3.7. ცნობა სამ. მდგომარეობის შესახებ :	

3.3.8. ძრავი/შასის ან სხვა ტრანსპორტ. სხვა საიდენტიფიკაციო N/VIN კოდი:	

მუხლი 4. გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნა და ფარგლები

4.1.გირავნობით უზრუნველყოფილია აღნიშნული ხელშეკრულებით წარმოშობილი მოთხოვნა გამომდინარე მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებებიდან და უზრუნველყოფს მის მიერ ათვისებული ძირითადი თანხების, საპროცენტო სარგებლის, პირგასამტეხლოს, ოვერდრაფტის, ზიანის ანაზღაურების, ასევე სასამართლოს, აღსრულების, გირავნობის საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

მუხლი 5. გირავნობის საგნის უფლებრივი და ნივთობრივი მდგომარეობა

5.1. წინამდებარე გირავნობა არის პირველი რიგის გირავნობა.

5.2. გირავნობის საგანი ნამდვილად ეკუთვნის საკუთრების უფლებით დამგირავებელს, რაც დასტურდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.3. პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციით. იგი ადასტურებს, რომ გირავნობის საგანს ფლობს კეთილსინდისიერად და მართლზომიერად და მასზე აქვს საკუთრების უნაკლო უფლება. მოგირავნე იღებს დამგირავებლის ამ განცხადებას და მფლობელის მესაკუთრედ ყოფნის კანონისმიერი პრეზუმფციიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ გირავნობის საგანზე დამგირავებელს აქვს უნაკლო საკუთრების უფლება; მოგირავნე ასევე აცხადებს, რომ მისთვის უცნობია გირავნობის საგანზე დამგირავებლის საკუთრების უფლების რაიმე ნაკლის ან გირავნობის საგნის მიმართ მესამე პირთა პრეტენზიების არსებობის შესახებ.

5.3. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით გირავნობის საგნის დაგირავება არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსს, სხვა საკანონმდებლო აქტებს და არ არღვევს სხვა პირთა კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს. გირავნობის საგანს არ გააჩნია რაიმე დაფარული თვისება, რომლის გამომჟღავნების შედეგად შემცირდება გირავნობის საგნის ღირებულება. მხარეთა შეფასებითა და განცხადებით, გირავნობის საგანი ვარგისია ექსპლუატაციისათვის.

მუხლი 6. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

6.1. დამგირავებელი/მსესხებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

6.1.1. მართლზომიერად ფლობს საკუთრების უფლებას გირავნობის საგანზე, გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის, დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებაუნარიანობა და ამ მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა.

6.1.2. არ მონაწილეობს არცერთ სასამართლო პროცესში, მათ შორის, ადმინისტრაციულ, სისხლის, სამოქალაქო სამართალწარმოებაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის ქონებას და/ან მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ან სხვა ხელშეკრულებების პირობების შესრულებას.

6.1.3. მის მიერ მოგირავნისათვის წარდგენილი ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღისათვის არის უტყუარი და ზუსტი.

6.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების დადება და მისი შესრულება არ გამოიწვევს მის მიერ ადრე დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევას.

6.1.5. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, მოგირავნის, ან სხვა მესამე მხარეთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის და/ან რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე.

6.1.6. ამასთანავე მისთვის ცნობილია, რომ მოგირავნისათვის ყალბი ცნობების და/ან დოკუმენტების მიწოდება გირავნობის გასაფორმებლად, იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად დასჯად ქმედებას.

6.1.7. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, დამგირავებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ მისთვის ნათელია, თუ რა სახის და მოცულობის თანხის უზრუნველსაყოფად აგირავებს ქონებას მოგირავნის სასარგებლოდ.

6.2. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ მოგირავნე წინამდებარე ხელშეკრულებას დებს მოცემულ განცხადებებზე, გარანტიებზე დაყრდნობით და თვლის მათ ხელშეკრულების პირობებად. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული განცხადებების, გარანტიების და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა საკმარისი საფუძველია მოგირავნის მიერ გაცემული სესხის უკან გამოსათხოვად. სესხის გამოთხოვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეს მიღებული ნებისმიერი თანხა, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის და დაკისრებული პირგასამტეხლო (არსებობის შემთხვევაში). ამასთან, მოგირავნე უფლებამოსილია რეალიზაციაზე მიაქციოს გირავნობის საგანი ან/და მოთხოვნები კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

6.3. სს მიკრობანკი „ემბისი“ შეაგროვებს/დაამუშავებს მსესხებლის (ან/და მესაკუთრის) შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

6.4. მსესხებლის (ან/და მესაკუთრის) თანხმობა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემების გამოთხოვის თაობაზე:

„თანხმობას ვაცხადებ, რომ სს მიკრობანკმა „ემბისიმ“, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაკრედიტებისა და სესხის მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს, ორგანიზაციისათვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.“

მსესხებლის (ან/და მესაკუთრის) მინდობილი პირის თანხმობა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან

პერსონალური მონაცემების გამოთხოვის თაობაზე:

„თანხმობას ვაცხადებ, რომ სს მიკრობანკმა „ემბისიმ“, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაკრედიტებისა და სესხის მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს, ორგანიზაციისათვის აუცილებელი, ჩემი ან/და ჩემი მარწმუნებლის პერსონალური მონაცემები“.

6.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მსესხებელი (ან/და მესაკუთრე) ადასტურებს, რომ არ მონაწილეობს (პირდაპირ ან არაპირდაპირ) რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში, ტრეფიკინგში ან/და ტერორიზმში), რომელიც ეწინააღმდეგება ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობას (მათ შორის, მსესხებლის რეზიდენტი ქვეყნის იურისდიქციის კანონმდებლობას) და არ იყენებს თავის საქმიანობაში იძულებით შრომას, მათ შორის არასრულწლოვანთა ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შრომას, მათი თანხმობის ან/და შესაბამისი ნებართვის გარეშე.

მუხლი 7. გირავნობის წარმოშობა, რეგისტრაცია

7.1. გირავნობა წარმოიშობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან, გირავნობა ექვემდებარება დაუყოვნებლივ რეგისტრაციას შსს მომსახურების სააგენტოში და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით დადგენილი მოგირავნის მოთხოვნების სრულად შესრულებამდე. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიტანება წერილობითი ფორმით. თუ ცვლილება თავისი შინაარსით საჭიროებს შსს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციას (მოთხოვნის შეცვლა სხვა მოთხოვნით, გირავნობის რიგითობის შეცვლა, ცვლილება უზრუნველყოფილ მოთხოვნაში გირავნობის წინა ჩანაწერის შეუცვლელად და ა.შ.) ამგვარი ცვლილება უნდა წარედგინოს შსს მომსახურების სააგენტოს რეგისტრაციის მიზნით.

მუხლი 8. გირავნობის საგნით სარგებლობა, გარიგების დადება გირავნობის საგანზე

8.1. დამგირავებელს უფლება აქვს ისარგებლოს გირავნობის საგნით ისე, რომ ამით არ შემცირდეს გირავნობის საგნის ღირებულება, თუ ეს შემცირება არ არის გირავნობის საგნის ნორმალური სამეურნეო გამოყენების შედეგი.

8.2. ამ ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ გირავნობის შეწყვეტამდე დამგირავებელი არ გაასხვისებს და არ დააგირავებს გირავნობის საგანს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მოგირავნის მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას. დამგირავებლის მიერ გირავნობის საგანზე გარიგების დადებისათვის (გირავნობის საგნის მთლიანი, ან ნაწილობრივი გასხვისება, მართვის უფლებით გადაცემა, შემდგომი დაგირავება, გაქირავება, იჯარით გაცემა...) აუცილებელია მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობა. მოგირავნის უარი გამორიცხავს გირავნობის საგანზე გარიგების დადების შესაძლებლობას. ამ წესის დარღვევით დადებული გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. თუ მოგირავნე წერილობით გასცემს ამგვარ თანხმობას მაშინ შემძენი იძენს გირავნობით დატვირთულ ქონებას. ასეთი გარემოებისას შემძენი და დამგირავებელი ვალდებულნი არიან ერთობლივად მოახდინონ ახალი შემძენის დამგირავებლად რეგისტრაცია.

8.3. დამგირავებლის მიერ გირავნობის საგნის გადაკეთება და/ან გარდაქმნა (ძრავის, ძარის, შასის შეცვლა და ა.შ) დაუშვებელია მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გირავნობის საგნის გადამუშავება, სხვა მოძრავ ნივთთან შერწყმა ან შეერთება არ იწვევს გირავნობის უფლების შეწყვეტას. ასეთ შემთხვევაში რიგითობა განისაზღვრება გადამუშავებამდე ან შერწყმამდე არსებული გირავნობის უფლების წარმოშობის მომენტის შესაბამისად.

8.4. მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დამგირავებელს ეკრძალება გირავნობის საგნის სხვა საგანთან გაერთიანება და/ან გაყოფა. თუ გირავნობის საგნის გაერთიანება და გაყოფა მაინც მოხდება, ამ ხელშეკრულებით დადგენილი გირავნობა ვრცელდება გირავნობის საგნის გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე (გირავნობა ვრცელდება გირავნობის საგანთან შეერთებულ ნაწილზეც). გირავნობის საგნის გაყოფის შედეგად წარმოშობილ ნივთებზე (გირავნობის საგნის ნაწილებზე) წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი გირავნობა, უცვლელი რჩება. გირავნობის საგნის გაყოფის შედეგად მიღებული თითოეული ნივთი (გირავნობის ახალი საგანი) სრულად უზრუნველყოფს მოთხოვნას, რომლის უზრუნველსაყოფადაც დადგინდა გირავნობა. თუ გირავნობის საგანს დაემატება რაიმე გაუმჯობესება გირავნობა ვრცელდება გირავნობის საგნის ყველა გაუმჯობესების მიმართ.

8.5. მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია გირავნობის საგნის საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანა (გატანა). მოგირავნის უარი გამორიცხავს გირავნობის საგნის საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანას (გატანას). ამ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მოგირავნის მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას.

8.6. მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობისას გირავნობის საგანი შეიძლება რამდენჯერმე დაგირავდეს, მაგრამ რიგითობა განისაზღვრება დაგირავების მომენტის შესაბამისად.

8.7. რეგისტრირებული გირავნობის უფლების რიგითობის შეცვლას ესაჭიროება დამგირავებლისა და მოგირავნის წერილობითი შეთანხმება.

8.8. იმ შემთხვევაში, თუ მოგირავნის თანხმობით გირავნობის საგანი გაიცემა სარგებლობის (მფლობელობის) უფლებით, გირავნობის საგანზე მესამე პირის უფლება შეწყდება გირავნობის საგნის რეალიზაციის მიზნით გამოთხოვისთანავე.

8.9. დამგირავებლის უფლება - გამოიყენოს გირავნობის საგანი, წყდება ამ ხელშეკრულების მე-14 ან/და მე-15 მუხლში აღნიშნული მოთხოვნის თარიღიდან და დამგირავებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს მოგირავნეს გირავნობის საგანი.

მუხლი 9. დამგირავებლის ვალდებულება

9.1. გირავნობის საგნის მოვლა-პატრონობის, მისი შემთხვევით განადგურების, ან დაზიანების რისკი ეკისრება დამგირავებელს.

9.2. დამგირავებელი ვალდებულია:

9.2.1. შეინარჩუნოს გირავნობის საგნის რეალური ღირებულება და გირავნობის საგნის არსებობისთვის საფრთხის შექმნისას გონივრულ ვადაში უზრუნველყოს ამ საფრთხის თავიდან აცილება.

9.2.2. მიიღოს საჭირო ზომები გირავნობის საგნის უვნებლად შესანარჩუნებლად, დაიცვას მესამე პირების ხელყოფისა და/ან მოთხოვნებისაგან.

9.2.3. დაუყოვნებლივ აცნობოს მოგირავნეს გირავნობის საგნის ღირებულების შემცირების საშიშროების წარმოქმნის და/ან გირავნობის საგნის განადგურების (მნიშვნელოვანი დაზიანების) შესახებ.

9.2.4. უზრუნველყოს გირავნობის საგნის გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და გაიღოს ყველა ხარჯი ჯეროვანი მოვლა-პატრონობისათვის გირავნობის შეწყვეტამდე.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ დამგირავებელი არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს ამ მუხლით დადგენილ ნებისმიერ ვალდებულებას, მოგირავნე უფლებამოსილია მოითხოვოს გირავნობის საგნის მისთვის გადაცემა და ამ მიზნით ამოიღოს გირავნობის საგანი. დამგირავებელი ვალდებულია უპირობოდ შეასრულოს მოგირავნის ეს მოთხოვნა. უარის შემთხვევაში გირავნობის საგანი ამოიღება იძულებით.

მუხლი 10. მოგირავნის უფლებები

10.1. თუ დამგირავებლის მოქმედების შედეგად მცირდება გირავნობის საგნის ღირებულება (გარდა ნორმალური სამეურნეო გამოყენების შედეგად დამდგარი ცვეთისა,) მოგირავნე უფლებამოსილია დამგირავებლს მოსთხოვოს იმ მოქმედების შეწყვეტა, რომელიც იწვევს ღირებულების შემცირებას.

10.2. მოგირავნე უფლებამოსილია დოკუმენტებით და ფაქტიურად შეამოწმოს გირავნობის საგნის არსებობა, მდგომარეობა, მოვლის პირობები და მოსთხოვოს დამგირავებელს გირავნობის საგნის შენარჩუნებისათვის საჭირო ზომების მიღება.

10.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში გირავნობის საგნის ღირებულება შემცირდება, ან წარმოიქმნება მისი შემცირების საშიშროება იმ გარემოებათა გამო, რომლებზეც პასუხისმგებელი არ არის მოგირავნე, იგი

უფლებამოსილია მოითხოვოს სხვა ქონების დაგირავება, ხოლო დამგირავებელი ვალდებულია მოგირავნის მიერ დადგენილ ვადაში, დააგირავოს დამატებითი ქონება მოგირავნის შერჩევით, ან წარმოადგინოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უფრო ლიკვიდური სხვა უზრუნველყოფა.

10.4. გაცემულ სესხთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისას მოგირავნის დამატებითი უფლებები განისაზღვრება ამ ხელშეკრულების საფუძველზე (ფარგლებში) გაფორმებული კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებით.

10.5. დასაშვებია ხელშეკრულების პირობების ცვლილება გამსესხებლის მიერ ცალმხრივად გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის (ასევე არსებობის შემთხვევაში თავდებისათვის ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრისათვის) მინიმუმ 2 თვით ადრე წინასწარი შეტყობინების გზით, რომელიც უნდა განხორციელდეს მსესხებლისათვის უფასოდ, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის ან/და ამავე ხელშეკრულებაში მითითებულ ელ.ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის გზით. მსესხებელი (ასევე არსებობის შემთხვევაში თავდები ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე) უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან ორი თვის ვადაში სრულად დაფაროს სესხი (ძირითადი თანხა, დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო), რა შემთხვევაშიც მას არ დაერიცხება სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიო. თუ მსესხებელი (ასევე არსებობის შემთხვევაში თავდები ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე) არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას, ამ პუნქტის შესაბამისად შეცვლილი პირობები ამოქმედდება მსესხებლისათვის (ასევე არსებობის შემთხვევაში თავდები ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე) ზემოაღნიშნული შეტყობინების გაგზავნიდან ორი თვის გასვლის შემდგომ.

10.6. ცალმხრივი ცვლილება არ შეიძლება შეეხოს პროდუქტის ვალუტას, არ შეიძლება იყოს განპირობებული მიკრობანკის მიერ მსესხებლის/მესაკუთრის გადახდისუნარიანობის არასწორი შეფასებით (როდესაც აღნიშნულის მიზეზი არ არის მსესხებლის/მესაკუთრის მიერ განზრახ არასწორი და არასრული მონაცემების მიწოდება) და ასევე არ უნდა იყოს გამოწვეული ინფლაციის ზრდით, ეკონომიკური ვარდნით და/ან საბაზრო საპროცენტო განაკვეთების 5 პროცენტულ პუნქტზე ნაკლები ცვლილებით.

10.7. თუ კრედიტზე (სესხზე), მათ შორის ორმხრივი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, იცვლება შენატანის ოდენობა, მიკრობანკი ვალდებულია ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე (მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით) ან/და ამავე ხელშეკრულებაში მითითებულ ელ. ფოსტის მისამართზე, მსესხებელს (ხელშეკრულების ფარგლებში რამდენიმე მსესხებლის/თანამსესხებლის არსებობის შემთხვევაში – ყველა მათგანს) ასევე, თავდებს და/ან სოლიდარულ თავდებს და/ან იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრეს (არსებობის შემთხვევაში) შეატყობინოს შენატანის შეცვლილი ოდენობისა და შეცვლილი პირობების შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ცვლილებამდე ხუთი სამუშაო დღით ადრე. ასევე, მსესხებლის (რამდენიმე მსესხებლის არსებობის შემთხვევაში ყოველი მათგანის) მიერ ცვლილების განხორციელების მომენტში შეცვლილ პირობებზე დათანხმების შემთხვევაში, თავდებს და/ან სოლიდარულ თავდებს და/ან იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრეს (არსებობის შემთხვევაში) შეატყობინოს შენატანის შეცვლილი ოდენობისა და შეცვლილი პირობების შესახებ ცვლილების შემდეგ არაუგვიანეს ხუთ სამუშაო დღეში. მიკრობანკი არ აგებს პასუხს ამ ვალდებულების დარღვევისათვის, თუ დაკავშირება/ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება ადრესატის ბრალეულობით და/ან ადრესატმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია მიკრობანკისათვის.

მუხლი 11. გირავნობის საგნის შეცვლა

11.1. მოგირავნე უფლებამოსილია მოითხოვოს გირავნობის საგნის შეცვლა იმ შემთხვევაში, თუ: გირავნობის საგნის ღირებულება ისე შემცირდა, რომ საფრთხე ექმნება უზრუნველყოფილ მოთხოვნას ან დამგირავებლის მიმართ მესამე პირმა შეიტანა სარჩელი ან/და წარადგინა მოთხოვნა, რომლითაც იგი მოითხოვს გირავნობის საგანზე (ან მის ნაწილზე) დამგირავებლის საკუთრების უფლების შეწყვეტას, ან შეზღუდვას. დამგირავებელი ვალდებულია მოგირავნის მოთხოვნიდან 15 დღეში დააკმაყოფილოს მოთხოვნა გირავნობის საგნის შეცვლის შესახებ. გირავნობის საგნის შეცვლა სხვა საგნით და მისი დაგირავება საჭიროებს გირავნობის ახალი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას.

მუხლი 12. შეტყობინების ვალდებულება მესამე პირთა სარჩელის შესახებ

12.1. დამგირავებელი ვალდებულია მოგირავნეს დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მის მიმართ მესამე პირის მიერ სარჩელის აღძვრის ან დასაბუთებული პრეტენზიის შესახებ, თუ სასარჩელო ან/და სხვა მოთხოვნის საგანია გირავნობის საგანზე, ან მის ნაწილზე დამგირავებლის საკუთრების უფლების შეწყვეტა, ან შეზღუდვა (გირავნობის საგანზე, ან საგნის ნაწილზე მესამე პირის საკუთრების უფლების აღიარება). ამ ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს მოგირავნის მიერ ვალდებულებათა შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნის საფუძველს.

მუხლი 13. გირავნობის საგნის დაზღვევა

13.1. მხარეები თანხმდებიან, რომ გირავნობის საგნის დაზღვევა არ არის სავალდებულო, თუმცა გირავნობის საგნის დაზღვევის შემთხვევაში მხარეებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს სადაზღვევო პირობები.

მუხლი 14. ვალდებულებების ვადამდელი შესრულების მოთხოვნა

14.1. მოგირავნეს უფლება აქვს მოითხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულებების ვადამდელი შესრულება, თუ სასამართლოს გადაწყვეტილების, ან სახელმწიფოს ნორმატიული აქტის საფუძველზე, ან სხვა ფორმით მისი ნებისაგან დამოუკიდებლად დამგირავებელმა შესაძლოა დაკარგოს საკუთრების უფლება გირავნობის საგანზე.

14.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უფლება მოგირავნეს აქვს იმ შემთხვევაშიც, თუ მსეხებელმა ან/და დამგირავებელმა დაარღვია ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით ან მე-8 მუხლით დადგენილი რომელიმე ვალდებულება.

14.3. ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას ვალდებულებების ვადამდელი შესრულების მოთხოვნის შემთხვევაში მოგირავნეს უფლება აქვს დაიწყოს მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

მუხლი 15. მოგირავნის უფლების განხორციელების საფუძვლები მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადის დადგომისას

15.1. მოგირავნე უფლებამოსილია განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა მოქმედება გირავნობის საგანზე გადახდევინების მიქცევისათვის, თუ დადგა მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა და საკრედიტო ვალდებულება არ შესრულდება ან დამდგარია ისეთი გარემოება რაც აძლევს მოგირავნეს გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლებას. ასეთ შემთხვევაში მოგირავნე უფლებამოსილია მოითხოვოს გირავნობის საგნის დაუყოვნებლივ გადაცემა, რაც დამგირავებლის მიერ დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს სავალდებულო წესით. დამგირავებლის მიერ გირავნობის საგნის მოგირავნისათვის ნებაყოფლობით გადაცემის შემთხვევში დამგირავებელი და მოგირავნე ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც წარმოადგენს გირავნობის საგანზე აღსრულებისა და ქვემოთ მითითებული წესით იძულებითი რეალიზაციის დაწყების დამადასტურებელ დოკუმენტს. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღიდან შესაბამის სესხზე წყდება სარგებლისა და პირგასამტეხლოს (ჯარიმის) დარიცხვა. მოგირავნე უფლებამოსილია არ მიიღოს მფლობელობაში (არ მიიღოს სარეალიზაციოდ) გირავნობის საგანი. ასეთ შემთხვევაში შესაბამის სესხზე არ ჩერდება სარგებლისა და პირგასამტეხლოს დარიცხვა, ხოლო მისი გადახდევინება შესაძლებელია განხორციელდეს საერთო წესით სასამართლოსადმი მიმართვის გზით, ამ ხელშეკრულების 10.4. პუნქტით განსაზღვრული დანაწესის გათვალისწინებით.

15.2. გირავნობის საგნის რეალიზაცია მოხდება შემდეგი წესით: მოგირავნე ვალდებულია ხელშეკრულებით დადგენილი წესით გააფრთხილოს დამგირავებელი, მასზედ, რომ მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო იგი აპირებს დაიკმაყოფილოს მისი მოთხოვნები (გაასხვისოს გირავნობის საგანი). გაფრთხილების ორკვირიანი ვადის ათვლა იწყება გაფრთხილების გადაცემის დღის 24:00 საათიდან და იწურება მეთოთხმეტე დღის 24:00 საათზე.

15.3. გირავნობის საგნის რეალიზაცია ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით მოგირავნის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია დამგირავებლის გაფრთხილებიდან ორი კვირის გასვლისთანავე.

15.4. მოგირავნე ვალდებულია: გაფრთხილებაში მიუთითოს, თუ რითი გამოიხატა დამგირავებლის მიერ ვალდებულების დარღვევა და მიუთითოს იმ თანხის ოდენობა, (მათ შორის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სამომავლოდ დასარიცხი თანხები) რომლის მისაღებადაც უნდა მოხდეს მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

15.5. მოგირავნე უფლებამოსილია ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ მიმართოს შსს მომსახურების სააგენტოს გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნით და მიღებული გირავნობის მოწმობის საფუძველზე განახორციელოს შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებანი. მოგირავნე ასევე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მსესხებლისათვის თანხის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მუხლი 16. გირავნობის საგნის რეალიზაცის წესი. გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის განაწილება

16.1. დამგირავებელი თანხმობას აცხადებს და წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ რეალიზაციის უფლების წარმოშობისთანავე, მოგირავნე ცალსახად და უპირობოდ უფლებამოსილია ამ მუხლში ჩამოთვლილი გირავნობის საგნის რეალიზაციის წესებიდან, დამგირავებლის დამატებითი ზეპირი ან წერილობითი თანხმობის გარეშე, საკუთარი გადაწყვეტილებით შეარჩიოს რეალიზაციის წესი და გამოიყენოს იგი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კერძოდ:

16.1.1. გირავნობის საგნის მოგირავნის საკუთრებაში გადასვლა.

16.1.2. გირავნობის საგნის მესამე პირზე (შუამავალზე) სარეალიზაციოდ გადაცემა.

16.1.3. გირავნობის საგანის უშუალო რეალიზაცია (მოგირავნის მიერ მესამე პირზე გასხვისების უფლება).

16.2. დამგირავებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს გირავნობის საგანზე გადახდის მიქცევა და მისი რეალიზაცია მოგირავნის ყველა მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებით.

16.3. იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის საგნის რეალიზაცია ხდება მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, მყიდველი შეიძენს გირავნობისაგან თავისუფალ საგანს თუ არ არსებობენ წინა რიგის მოგირავნეები.

16.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის შესაბამისად, მოგირავნე უფლებამოსილია გირავნობის საგნის რეალიზაცია განახორციელოს პირდაპირი მიყიდვის გზით. ამ შემთხვევაში, მოგირავნეს, როგორც დამგირავებლის მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს უფლება ექნება დადოს მოძრავი ნივთის (არამატერიალური ქონებრივი სიკეთის) ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოგირავნე, დამგირავებელის (მესაკუთრის) სახელით გადასცემს საკუთრების უფლებას გირავნობის საგანზე მის მიერ შერჩეულ ნებისმიერ პირს.

16.5. დამგირავებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მოგირავნე უფლებამოსილია გადაიფორმოს საკუთარ სახელზე დაგირავებული ნივთი, ან უშუალოდ, აგრეთვე სპეციალურ სავაჭრო დაწესებულების მეშვეობით მოახდინოს დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია.

მუხლი 17. გირავნობის შეწყვეტის საფუძვლები და გაფორმების წესი

17.1. გირავნობა წყდება:

17.1.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებით.

17.1.2. მოგირავნის მიერ გირავნობაზე უარის შემთხვევაში.

17.1.3. კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

17.2. გირავნობის შეწყვეტის შემთხვევაში უნდა ამოიშალოს (გაუქმდეს) შესაბამისი ჩანაწერი შსს მომსახურების სააგენტოში. თუ მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფაც გირავნობაა, დაფარულია, დამგირავებელი ვალდებულია ამ გარემოების დადგომისას 5 სამუშაო დღის ვადაში მოახდინოს გირავნობის ამოშლა შესაბამის რეესტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში ამავე ვადაში მოგირავნე მოახდენს გირავნობის შეწყვეტას რეესტრში რეგისტრაციის გზით და სარეგისტრაციო ხარჯების გაღება ეკისრება დამგირავებელს ან/და მსესხებელს, რომლის ანგარიშებიდანაც მოგირავნე დამატებითი აქცეპტის გარეშე ჩამოწერს რეგისტრაციის საფასურს.

მუხლი 18. პრეტენზიების და დავის გადაწყვეტის წესი

18.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით.

18.2. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისას, გამსესხებელი უფლებამოსილია, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს და საერთო წესით მოითხოვოს მსესხებლისათვის გადასახდელი თანხების დაკისრება ან/და გირავნობის საგნის გადმოცემა/რეალიზაცია, ამ ხელშეკრულების 10.4. პუნქტით განსაზღვრული დანაწესის გათვალისწინებით.

18.3. მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია სს მიკრობანკი „ემბისის“ ნებისმიერ სერვის ცენტრში, როგორც ზეპირი, ასევე თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ვებ-გვერდზე http://www.mbc.com.ge/ და ელ.ფოსტაზე complaint@mbc.com.ge. პრეტენზიის განხილვასთან დაკავშირებით და შესაბამისი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სატელეფონო კონტაქტის მეშვეობით ნომერზე (032) 2505002, ან უშუალოდ მიკრობანკის შესაბამის სერვის ცენტრში. მომხმარებლისგან მიღებულ პრეტენზიაზე პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

მუხლი 19. შეტყობინების წესი

19.1. მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ ისეთი ფორმით, რომელიც იძლევა კონტრაგენტის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების შესაძლებლობას.

19.2. შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად, თუ იგი გაგზავნილია ერთ-ერთი ჩამოთვლილი საშუალებით: დაზღვეული (საფოსტო) წერილით, კურიერის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, სოციალური ქსელების მეშვეობით ან ელ.ფოსტის მეშვეობით ამ ხელშეკრულებაში მითითებულ საკონტაქტო მისამართებზე (მობილური, ელ.ფოსტა), ან მოგირავნის მიერ ჩაბარებულია ხელზე უშუალოდ დამგირავებლისათვის, მისი ოჯახის წევრის ან საკონტაქტო პირისთვის. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

19.3. მხარეები ვალდებულნი არიან აცნობონ ერთმანეთს საკონტაქტო ინფორმაციის შეცვლის შესახებ, ასეთი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შემთხვევაში შეტყობინება მიღებულად ითვლება მხარისათვის ცნობილ უკანასკნელ საკონტაქტო მისამართზე შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაშიც.

19.4. შეტყობინება ვალდებულების დარღვევის შესახებ გულისხმობს რეალიზაციის გამოყენების შესაძლებლობასაც შეტყობინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 20. წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილის ბათილობის შედეგები

20.1. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში დანარჩენი მუხლები და პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო ბათილი დებულების ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი დებულება, რომლითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი.

მუხლი 21. ხელშეკრულების ენა, ეგზემპლარები და დანართი

21.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მოგირავნეს, ერთი - გადაეცემა დამგირავებელს, ერთი - სადაზღვევო კომპანიას (სატრანსპორტო საშუალების დაზღვევის შემთხვევაში), ხოლო ერთი წარედგინება სს მომსახურების სააგენტოს.

თქვენ ხელმოწერით ადასტურებთ, რომ აცნობიერებთ სესხის უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი ქონების დაკარგვასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ მსესხებელმა სრულად არ დაფარა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

მსესხებელი/მესაკუთრე _____
(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)

_____

მიკრობანკი _____
(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)